www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

საქართველოში

2016

წელი

31.03.2017

www.geostat.ge

31.03.2017

2016 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

შობადობა

2016 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ შეადგინა 56 569 (28 887 ბიჭი და 27 682 გოგო) რაც წინა წელთან შედარებით 4,5 პროცენტით ნაკლებია.

დიაგრამა 1



2008 წლიდან ცოცხლად დაბადებულთა რიგითობის განაწილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. კერძოდ, დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში გაიზარდა მესამე და მომდევნო შვილების წილი, პირველი შვილის წილი კი შემცირდა, ხოლო მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა. ეს ტენდენცია 2016 წელსაც გაგრძელდა და წინა წელთან შედარებით მესამე და მომდევნო შვილის წილი 1,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

დიაგრამა 2



წინა წელთან შედარებით 2016 წელს დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 25 წლამდე ასაკის დედების მიერ შობილი ბავშვების წილი 38,8 პროცენტიდან 35,6 პროცენტამდე შემცირდა.

დიაგრამა 3



2016 წელს დედის საშუალო ასაკმა პირველი ბავშვის დაბადებისას 25,0 წელი შეადგინა.

გარდაცვალება

2016 წელს გარდაცვლილთა რიცხოვნობა 2015 წელთან შედარებით 3,4 პროცენტით გაიზარდა და 50 771 შეადგინა.

დიაგრამა 4



გარდაცვლილთა სქესობრივ-ასაკობრივმა სტუქტურამ განიცადა მცირეოდენი ცვლილება. ყველაზე დიდი პროცენტული მატება დაფიქსირდა 65-69 და 85 და მეტი წლის ასაკობრივ ჯგუფებში, როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის. ყველაზე დიდი პროცენტული კლება კი ორივე სქესისათვის დაფიქსირდა 70-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

დიაგრამა 5



ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტმა (1 წლამდე გარდაცვლილთა რაოდენობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე) 2016 წელს 9,0 პრომილე შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 0,4 პუნქტით მეტია.

5 წლამდე გარდაცვლილთა კოეფიციენტი (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) 2015 წელთან შედარებით 0,5 პუნქტით გაიზარდა და 10,7 პრომილე შეადგინა.

ბუნებრივი მატება

2015 წლის ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობას შორის) წინა წელთან შედარებით 42,8 პროცენტით შემცირდა და 5 798 შეადგინა.

დიაგრამა 6



დიაგრამა 7



2016 წელს ბუნებრივი კლება დაფიქსირდა კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და იმერეთის რეგიონებში.

ქორწინება

2016 წელს რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 13,9 პროცენტით შემცირდა და 25 101 შეადგინა.

დიაგრამა 8



განქორწინება

2016 წელს რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობამ 9 539 შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4,7 პროცემდით გაიზარდა.

დიაგრამა 9



2016 წელს 2015 წელთან შედარებით 6,7 პროცენტით გაიზარდა განქორწინებათა რიცხვი 0-10 წლამდე ხანგრძლივობის ქორწინებებში. განქორწინებათა საერთო რაოდენობაში 1 წლამდე ხანგრძლივობის ქორწინებების წილი ყველაზე მაღალია (8,8 პროცენტი).

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით

2016 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები ქვეყნის რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 1

2016 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები
რეგიონების მიხედვით

რეგიონი	ცოცხლად დაბადება	გარდაც–ვალება	ბუნებრივი მატება	ქორწინება	განქორწი–ნება
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო	**56 569**	**50 771**	**5 798**	**25 101**	**9 539**
ქ. თბილისი	16 784	12 720	4 064	7 304	3 688
აფხაზეთის ა.რ.*	…	…	…	…	…
აჭარის ა.რ.	5 977	3 622	2355	2 631	717
გურია	1 535	1 832	-297	752	230
იმერეთი	7 784	9 102	-1318	3 832	1 450
კახეთი	4 870	5 099	-229	1 936	676
მცხეთა-მთიანეთი	1 180	1 416	-236	567	233
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	327	823	-496	203	56
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4 797	5 532	-735	2 241	725
სამცხე-ჯავახეთი	2 349	2 053	296	1 071	202
ქვემო ქართლი	6 892	4 855	2037	2 867	982
შიდა ქართლი	4 074	3 717	357	1 697	580

საკონტაქტო პირი: პაატა შავიშვილი, ტელ.: +995 32 236 72 10 (601); ელ- ფოსტა: shavishvili@geostat.ge

* … - მონაცემები არ არსებობს